უფლება A

შენ გაქვს უფლება პატივისცემითა და ღირსებით მოგეპყრონ მიუხედავად შენი ასაკისა, ენისა, კულტურისა, სქესისა, რელიგიისა, კანის ფერისა, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა მახასიათებლებისა.

პასუხისმგებლობა A

შენი პასუხისმგებლობაა გარშემომყოფებს პატივისცემითა და ღირსებით მოეპყრო მიუხედავად მათი ასაკისა, კულტურისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, კანის ფერისა, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა მახასიათებლებისა.

უფლება B

შენ გაქვს უფლება თავად აარჩიო, თუ რომელი ფინანსური პროდუქტის შეძენა გსურს. ბანკს არ აქვს უფლება მოახდინოს შენზე ზეწოლა.

პასუხისმგებლობა B

შენი პასუხისმგებლობაა გაეცნო სასურველი ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას და გადაწყვეტილების მიღებამდე ერთმანეთს შეადარო სხვადასხვა შემოთავაზება.

უფლება C

შენ გაქვს უფლება ბანკისგან მიიღო სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები, აუცილებელი და თავისდროული ინფორმაცია.

პასუხისმგებლობა C

შენი პასუხისმგებლობაა ბანკს მიაწოდო ზუსტი, აუცილებელი და თავისდროული ინფორმაცია.

უფლება D

შენ გაქვს უფლება, გამოთქვა შენი აზრი, ბანკმა კი უნდა მოგისმინოს. როდესაც შენი რომელიმე უფლება ირღვევა, ან უკმაყოფილო ხარ მომსახურებით, უნდა გქონდეს შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ აცნობო ამის შესახებ ბანკს, და დააფიქსირო პრეტენზია.

პასუხისმგებლობა D

შენი პასუხისმგებლობაა შეასრულო ის პირობები და ვალდებულებები, რომლებიც შენს პროდუქტს უკავშირდება, და რომლებიც შენსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

უფლება E

შენ გაქვს უფლება, რომ ბანკმა დაიცვას შენი პერსონალური მონაცემები.

პასუხისმგებლობა E

შენი პასუხისმგებლობაა გაუფრთხილდე შენს პერსონალურ მონაცემებს.